2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა უცხოურ ენებში

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მსურველს უნდა შეეძლოს:

- **წაიკითხოს** B1 სირთულის მცირე ან საშუალო ზომის შემეცნებითი ან ინფორმაციული სახის ტექსტი - განცხადება, რეკლამა, წერილი, ადაპტირებული საგაზეთო პუბლიკაცია და ა.შ. და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე კონკრეტული ინფორმაცია. შეარჩიოს და გამოიყენოს დავალების შესაბამისი კითხვის სტრატეგიები.

- **მოისმინოს** შესაბამისი სირთულის მცირე ზომის შემეცნებითი ან ინფორმაციული სახის ტექსტი და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე კონკრეტული ინფორმაცია. შეარჩიოს და გამოიყენოს დავალების შესაბამისი მოსმენის სტრატეგიები.

- **დაწეროს** 120-170 სიტყვიანი თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება მოცემულ თემასთან დაკავშირებით. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.

- გაიგოს და მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული B1 დონის **გრამატიკა**, **ლექსიკა და ენობრივი ფუნქციები.**

ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა უცხოურ ენებში შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი
ინგლისური

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
არსებითი სახელი	• საკუთარი, საზოგადო, აბსტრაქტული, ნივთიერებათა, • თვლადი, უთვლადი • ბრუნვა, რიცხვი
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	• შედარების ხარისხები • ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობა
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უკუქცევითი, ემფატური, მიმართებითი
ზმნა	• წესიერი, არაწესიერი • სრულმნიშვნელოვანი, დამხმარე • მაერთი ზმნები (linking verbs) • გარდამავალი, გარდაუვალი • მოდალური ზმნები; ფრაზული ზმნები • უპირო ფორმები
ზმნის დროები მოქმედებით გვარში	• Present, Past, Future Simple • Future in the Past Simple • Present, Past, Future Continuous • Present, Past, Future Perfect • Present, Past Perfect Continuous
ზმნის დროები ვნებით გვარში	• Present, Past, Future Simple • Present, Past Continuous • Present, Past Perfect
ზმნიზედა	დროის, ადგილის, ხარისხის და ა.შ შედარების ხარისხები
წინდებული	ადგილის, დროის, მიმართულების და ა.შ.
კავშირი	• მაკავშირებელი (and, or, so, but, et.) • მაქვემდებერებელი (where, when, because, as soon as, etc.)
ნაწილაკი	no, not, too, only, even, just, still, etc.
წინადადება	• მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი • თხრობითი, ბრძანებითი • მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი • პირობითი I, II (Conditional I, II)
წინადადების წევრები	მთავარი, მეორეხარისხოვანი
პირდაპირი და ირიბი თქმა	• წინადადების წყობა • დროთა თანმიმდევრობა; პირდაპირი და ირიბი თქმა
სიტყვათწარმოება	• სუფიქსები (-y, -er, -able, -ly, etc.) • პრეფიქსები (un-, ir-, im-, etc.)
კონსტრუქციები	there is/ are, let smb. do, to be going to, used to, etc.
ორთოგრაფია და პუნქტუაცია	ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
არსებითი სახელი	ბრუნვა, ბრუნება, სქესი, მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	ბრუნება, შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი, წილობითი
ნაცვალსახელი	პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი, უპირო
ზმნა	1. სუსტი, ძლიერი, არაწესიერი და შერეული ზმნები; ზმნის ძირითადი ფორმები; ზმნის დროის ფორმები; უკუქცევითი, დამხმარე და მოდალური ზმნები; 2. მოუცილებად- და მოცილებადთავსართიანი ზმნები; კაუზატიური ზმნები; ბრძანებითი კილო; ინფინიტივი zu ნაწილაკით და მის გარეშე; ინფინიტიური კონსტრუქციები um…zu, statt…zu, ohne…zu 3.პარტიციპ I და II; ვნებითი გვარი; ზმნის ვალენტობა და მართვა 4. კავშირებითი კილო: Konjunktiv II 5. ფუნქციური ზმნები; 6. ზმნები მყარ შესიტყვებებში;
ზმნიზედა	დროის, ადგილის, ვითარების; ზმნიზედის შედარების ხარისხები; ნაცვალსახელური ზმნიზედები; ნაცვალსახელითი ზმნიზედა
წინდებული	1. მიცემითის(Dativ):mit, von, bei, zu, nach, seit,aus, außer ... 2. ბრალდებითის (Akkusativ):durch, für, ohne, um, gegen ... 3. ნათესაობითის (Genitiv): während, wegen, statt, trotz ... 4. ბრუნვამონაცვლე (Dativ-Akkusativ): an, auf, hinter, neben, in...
უარყოფა	nicht, kein
კავშირი	მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები:und, aber, denn, oder, sondern, als, wenn, dass, ob, während, bis, weil, da, obwohl წყვილი კავშირები: entweder…oder, nicht nur…sondern auch, sowohl...als auch, weder...noch, zwar...aber;
მარტივი წინადადება	თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი
რთული წინადადება	თანწყობილი ქვეწყობილი: 1. განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება (Relativsatz) 2. მიზნით გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Finalsatz), ინფინიტიური კონსტრაქცია um..zu; 3. ვითარების გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Modalsatz), ინფინიტიური კონსტრუქცია (an)statt…zu, ohne…zu; 4. დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Temporalsatz) 5. დათმობითი დამოკიდებული წინადადება (Konzessivsatz) 6. მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Kausalsatz), მთავარი წინადადება კონექტორით: deshalb, deswegen, darum; ინფინიტიური კონსტრუქცია um…zu; 7. ირიბი კითხვა (W-Wort, ob);
სიტყვათწარმოება, ორთოგრაფია, პუნქტუაცია	ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
არსებითი სახელი	მდედრობითი სქესისა და მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, შერწყმული, ნაწილობითი, შეკვეცილი
ზედსართავი სახელი	ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელი, კითხვითი, თვისებითი, სქესისა და რიცხვის წარმოება, შედარების ხარისხები.
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი და რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის (მახვილიანი, უმახვილო), პირდაპირი და ირიბი დამატების ფუნქციით, განუსაზღვრელი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, ზმნიზედური en და y
ზმნა	• წესიერი, არაწესიერი • ზმნის სამი ჯგუფი, კილო, დრო, აქტიური და პასიური ფორმები, ნაცვალსახელოვანი ფორმა, უპირო ზმნები, être-ითა და avoir-ით ნაუღლები ზმნების participe passé-ს შეთანხმება ქვემდებარესა და დამატებასთან, კონსტრუქციები il y a, verbe+infinitif, il faut+nom, il faut+infinitif du verbe
ზმნის დროებისა და ფორმების წარმოება და გამოყენება, კილო	Présent, futur proche/futur immédiat, passé récent/passé immédiat, imparfait, passé composé, participe passé, plus-que-parfait, futur simple, participe présent,gérondif, impératif, infinitif, conditionnel présent, futur dans le passé, subjonctif présent
კითხვის დასმა	• ინტონაციით, მტკიცებით ფორმაზე საქცევი "est-ce que"-ს დამატებით, ინვერსიით, • კითხვითი ნაცვალსახელებით, კითხვითი ზედსართავებითა და კითხვითი ზმნიზედებით (Qui est-ce? Comment est ta voiture? Quelle robe veux-tu acheter?)
უარყოფა	ne - *verbe*–pas/rien/jamais/plus/ni… ni, que. ..
ზმნიზედა	ვითარების, რაოდენობის, დროის და ადგილის გამომხატველი, შედარების ხარისხები
წინდებული	à, en dans sur, sous, chez,etc.
კავშირი	მაერთებელი mais, ou, et, ni, car, donc მაქვემდებარებელი que, quand, parce que, lorsque, etc.
წინადადება	• მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი • მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი • პირობითი
წინადადების წევრები	მთავარი, მეორეხარისხოვანი
პირდაპირი და ირიბი თქმა	წინადადების წყობა; დროთა შეთანხმება
ორთოგრაფია და პუნქტუაცია	ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
არსებითი სახელი	ჯგუფები: სულიერი და უსულო, საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა. სქესი, რიცხვი, ბრუნვა. ბრუნების ტიპები; თავისებურ სახელთა ბრუნება; უცვლელი არსებითი სახელები.
ზედსართავი სახელი	სქესი, რიცხვი, ფუძე, ბრუნება, შეთანხმება არსებით სახელებთან. ჯგუფები. შედარების ხარისხები. სრული და მოკლე ფორმა.
რიცხვითი სახელი	მარტივი, რთული, შედგენილი. რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი, წილობითი. ბრუნება. ბრუნების თავისებურებანი. რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად.
ნაცვალსახელი	ჯგუფები: პირის, კუთვნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, უკუქცევითი. ბრუნება. შეთანხმება არსებით სახელთან.
ზმნა	ინფინიტივი, ასპექტი, დრო, პირი და რიცხვი, კილო. გარდამავალი, გარდაუვალი. უკუქცევითი. უღლება. თავისებურ ზმნათა უღლება. უპირო ზმნები. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები.
მიმღეობა	მოქმედებითი და ვნებითი. დრო. ვნებითი მიმღეობის მოკლე ფორმა. მიმღეობის წარმოება და გამოყენება. ბრუნება. მიმღეობის კონსტრუქცია.
აბსოლუტივი (გერუნდივი)	სრული და უსრული ასპექტის ფორმების წარმოება და გამოყენება. აბსოლუტივიანი კონსტრუქცია.
ზმნიზედა	ჯგუფები, შედარების ხარისხები, ზმნიზედის წარმოება.
კავშირი	შემაერთებელი, მაპირისპირებელი, განმაცალკევებელი, მაქვემდებარებელი კავშირები. მაკავშირებელი სიტყვები.
წინდებული	მარტივი წინდებულები. წინდებულიანი ბრუნვები. ნაწარმოები წინდებულები და მათი გამოყენება.
ნაწილაკი	უარყოფითი, მოდალური, ფორმაწარმომქმნელი.
შესიტყვება	აგებულება. სინტაქსური შეკავშირების სახეები (შეთანხმება, მართვა და მირთვა).
წინადადება	<u>მარტივი წინადადება:</u> წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. მარტივი და რთული, გავრცობილი და გაუვრცობელი, სრული და არასრული წინადადება. წინადადების ერთგვარი წევრები. <u>რთული წინადადება:</u> რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების სახეები. უკავშირო რთული წინადადება. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. ციტატები, ციტირების ხერხები.
სიტყვათწარმოება	სიტყვათწარმოების ძირითადი ხერხები. ფუძე, დაბოლოება; აფიქსების ტიპები და მნიშვნელობები.
ორთოგაფია და პუნქტუაცია	ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში.